პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №16

ქ.თბილისი

02.12.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ირაკლი ბაიდაშვილი – საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი და ხაზინადარი, GMT Group-ის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოს სხდომის მდივანი.
საბა სარიშვილი – აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „ზრდა საქართველოში" - განმახორციელებელი Chemonics International, მრჩეველი ბიზნესის განვითარების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმომადგენელი:
თამარ შალვაშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი:
მარინა გოგოლაძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:30 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომრემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ;

2. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

მამია ჯანჯალიამ განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა მოახსენა საბჭოს, რომ ვინაიდან კონტიგენტის გაზრდაზე იყო მოთხოვნა, ექსპერტებმა მხოლოდ მატერიალური და ადამიანური რესურსი შეამოწმეს. ექსპერტმა დააზუსტა, რომ ავტორიზაციით დადგენილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობა არის 450. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტინგენტის რაოდენობა ორივე პროგრამაზე არ აჭარბებს 450-ს, ხოლო მატერიალური რესურსთან და ადამიანურ რესურსთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრმა მიმია ჯანჯალია, როგორც დაწესებულების წარმომადგნელმა ითხოვა სიტყვა. მისი განცხადებით, ეს გამოიწვია მოდულური პროგრამების კვოტის განსაზღვრამ. პროგრამაზე დოკუმენტით განსაზღვრული იყო 56 სტუდენტი და ეს გამოიწვევდა კითხვას, თუკი რანჟირების დოკუმენტში იქნებოდა 60 ან მეტი თანაბარქულიანი პროფესიული სტუდენტი მაშინ როგორ მოხდებოდა საკითხის გადაწვეტა.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მთავარი იყო დაწესებულას არ გადაეჭარბებინა საბჭოს მიერ დადგენილი ზღვრულ რაოდენობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის 112-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (ს/კ: 205300048) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 112-ით.

2. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა მოახსენა საბჭოს, რომ ვინაიდან კონტინგენტის გაზრდაზე იყო მოთხოვნა, ექსპერტებმა მხოლოდ მატერიალური და ადამიანური რესურსი შეამოწმეს. ექსპერტის განცხადებით, პროგრამას აქვს შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება
„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (ს/კ:205300048) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:45-ზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ირაკლი ბაიდაშვილი